Reform Action Plan
for 2019-2020

Social-Economic
Developement
Strategy of Georgia
"Georgia 2020"

Public
Administration
Strategy for 20232026





Subjects of the Government Survey



Parliamentary Secretary of the Government Administration

Public Administration Department of the Government of Georgia

Economic Policy and Regulatory Impact Assesment Division

Parliamentary Budget Office

Parliamentary Research Center





Reform Activities

Regulatory Framework

- The Mandatory RIA has been imposed on Government legal initiatives related to 20 laws;
- RIA Methodology has been adopted.

• Adoption of RIA SME Test

Institutional Arrangement

- Division specialized in RIA has been established in MoESD;
- Parliamentary Secretary of the Administration of the Government of Georgia has been assigned the mandate for RIA quality assurance;
- RIA Support Platform has been established.

 Preparation of the Methodology for RIA report quality assurance

Budget and Infrustructure

• RIA reports are published on the websites of MoESD and the Parliamentary Budget Office.

Development of the RIA Portal and RIA Library

Capacity Building

- The employees of the Office of the Parliamentary Secretary have been trained in RIA quality assurance;
- A significant number of civil servants have been trained in RIA Methodology.

 Another round of civil servant training on RIA Methodology

Implemented Planned




RIA Institutionalization Assessment Indicators






Number of RIA reports by implementing bodies (2010-2022)












Number of RIA Reports based on Policy Area









Number of state institutions that have developed RIA report








Share of publicly available RIA reports (2010-2022)









Number of Civil Servants Trained in RIA Methodology





According to the Government's estimate, approximately, more than 100 civil servants received training in RIA methodology.





Number and share of regulations subject to mandatory RIA and passed without the report



Monitoring of initiated legal amendments subject to

RIA:

- 1. Ammendments passed with the RIA report
- 2. Ammendments passed without the RIA report
- 3. Amendments subject to exception

Table 3: List of draft amendments to the laws which are subject to RIA initiated in 2020

Draft legal amendment	Date	Initiator	Accompanied by RIA
Draft Amendments to the Law on Electronic Communications	07.01.2020	Government	No
Draft Amendments to the Law on Control of Entrepreneurial Activities	06.16.2020	Government	No
Draft Amendments to the Law on Control of Entrepreneurial Activities	04.27.2020	Members of Parliament	No
Draft Amendments to the Law on Licenses and Permits	06.16.2020	Government	No
Draft Amendments to the Law on "licenses and permits"	06.10.2020	Government	No
Draft Amendments to the Labor Code	04.27.2020	Members of Parliament	No
Draft Amendments to the Law on Energy and Water Supply	05.04.2020	Government	No
Draft Law on Entrepreneurs	N/A	Government	Yes
Draft Law on Insolvency Proceedings	03.05.2020	Government	Yes

Saurce: The USAID Economic Governance Program







გმადლობთ გმადლობთ









USAID Economic Governance Program



ReforMéter

Tracking progress – one reform at a time

DISCLAIMER: This presentation is made possible by the support of the American people through the United States Agency for International Development (USAID). The contents of this presentation do not necessarily reflect the views of USAID or the United States Government.



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA)

თეა ლოლაძე 1.03.2023

რეგულირების ზეგავლენის შეფასება

RIA-ს ინსტიტუციონალიზაცია

საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ქვეყანაში რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA – Regulatory Impact Assessment) სისტემის ინსტიტუციონალიზაცია;

RIA - ეს არის **ინსტრუმენტი**, რომელიც გამოიყენება მთავრობის მიერ მიღებული ან/და მისაღები რეგულირების ზემოქმედების შეფასებისთვის **სხვადასხვა სფეროზე**;

RIA - ეს არის **ანალიტიკური კვლევითი დოკუმენტი**, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება რეგულირების შეფასება **ხარჯისა და სარგებლის** შესაბამისად;

RIA - ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთათვის მზადდება მტკიცებულება პოლიტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ, მათი როგორც პოტენციური ზემოქმედების შეფასების (ex-ante), ასევე უკვე არსებული გავლენის (ex-post) შეფასების გზით.

RIA-ს სამართლებრივი საფუძველი

- "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 17¹ მუხლის თანახმად, 2020 წლიდან სავალდებულოა "რეგულირების ზეგავლენის შეფასება" მთავრობის მიერ განსაზღვრულ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის მომზადებისას;
- "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 17¹
 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდა "რეგულირების ზეგავლენის
 შეფასების მეთოდოლოგია";
- მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხა,
 რომლებში ცვლილების შეტანის შემთხვევაშიც სავალდებულოა რეგულირების
 ზეგავლენის შეფასება.

დონორთა მხარდაჭერა

- RIA-ს სისტემის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში, დონორთა მხარდაჭერით მომზადდა RIA ანგარიშები, ჩატარდა RIA-ს ტრენინგები და ცნობიერების ამაღლების კამპანიები:
 - ევროკავშირის წარმომადგენლობა;
 - მსოფლიო ბანკი;
 - USAID;
 - UNDP;
 - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ);
 - მმართველობა განვითარებისათვის (G4G);
 - დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI).

RIA-ს ანგარიშები

- 2007 წლიდან სამინისტროში შეიქმნა RIA-ს სამმართველო "ეკონომიკური პოლიტიკისა და რეგულირების გავლენის შეფასების სამმართველო"
- სამინისტრომ, ჯერ კიდევ RIA-ს სავალდებულოდ შემოღებამდე, საკუთარი რესურსებით მოამზადა არაერთი RIA-ს ანგარიში, მათ შორის:
 - სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებზე
 - სხვადასხვა უწყებების მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ინიციატივებზე
- დეპარტამენტის მიერ მომზადდა შემდეგი RIA-ს ანგარიშები:
 - "შენობა-ნაგებობის მიმართ ინსოლაციის მინიმალური მოთხოვნების შესახებ";
 - ი "რადიოაპარატურის შესახებ ტექნიკური რეგლამენტზე";
 - "საინვესტიციო ფონდების შესახებ" კანონის პროექტზე;
 - "დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე";
 - o "ფარმაცევტულ სექტორში კარგი საწარმოო პრაქტიკის (GMP) დანერგვაზე";
 - ი "მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" კანონის პროექტზე;
 - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსზე;
 - ხარჯ-სარგებლის ანალიზი მომზადდა სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსში "აღკვეთის ღონისძიების მექანიზმებზე";
 - 🔾 "განახლებად ენერგიაში ადგილობრივი მოთხოვნის კომპონენტის კვლევაზე".

2021-2025 წლების SME სტრატეგია

- ✓ 2021 წელს დამტკიცდა "საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის და შესაბამისი სამოქმედო გეგმები;
- სტრატეგია სრულ შესაბამისობაშია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის ძირითად პრინციპებთან, მასში გათვალისწინებული იქნა ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის კუთხით.
- ✓ სტრატეგიის პირველი პრიორიტეტული მიმართულება "საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება" ითვალისწინებს RIA სისტემის განვითარებას, მათ შორის, ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, კანონმდებლობის ცვლილებისას RIA SME ტესტის განხორციელებას.

მადლობა ყურადღებისთვის!



დამოუკიდებელი ანალიზი სახელმწიფო ფინანსების მდგრადობისთვის

"საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი და მისი როლი საკანონმდებლო პროცესში"

მომხსენებელი: შორენა კახიძე

თბილისი

2023 24

- პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის არსებობის ისტორია 1997 წლიდან იწყება.
- <mark>საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი წარმოადგენს</mark> პარლამენტის სისტემაში არსებულ დამოუკიდებელ ფისკალურ ინსტიტუციას.
- საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უმთავრესი მიზანია აღმასრულებელი ხელისუფლების ფისკალური პოლიტიკის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ანალიზით, კვლევითა და შეფასებით ხელი შეუწყოს საჯარო ფინანსების მართვაზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებას და შესაბამისად, ფისკალურ მდგრადობას საშუალო/გრძელვადიანი პერიოდისათვის.

საბიუჯეტო ოფისის სტრუქტურული ერთეულებია:

- ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება;
- მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება;
- ფინანსური შედეგების შეფასებისა და საკანონმდებლო პროცესის ხელშეწყობის განყოფილება.

http://pbo.parliament.ge/ge/aboutus/our-role

საბიუჯეტო ოფისი პარლამენტის რეგლამენტში გახორციელებული ცვლილებების შედეგად, საკანონმდებლო პროცესში ჩართულია 2012 წლის ოქტომბრიდან.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, კერძოდ ფინანსური შედეგების შეფასებისა და საკანონმდებლო პროცესის ხელშეწყობის განყოფილება

უფლებამოსილია:

- განახორციელოს ყველა საკანონმდებლო ინიციატივის განმარტებითი ბარათის ფინანსური გავლენის შეფასების შემოწმება, ე.წ. ხარისხის კონტროლი;
- განხორციელებული ე.წ. ხარისხის კონტროლის საფუძველზე **მოამზადოს დასკვნა** და წარუდგინოს პარლამენტის ბიუროს, პარლამენტის ბიურო კი თავის მხრივ უფლებამოსილია პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოტივირებული დასკვნის საფუძველზე კანონპროექტი ხარვეზის გამოსასწორებლად დაუბრუნოს მის ინიციატორს;
- კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყებიდან პირველ მოსმენამდე **წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია** განმარტებითი ბარათის ფინანსური დასაბუთების ნაწილით გათვალისწინებულ საკითხებზე;
- მოამზადოს დასკვნა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარსადგენად. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი დასკვნას ამზადებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე; კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე; სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

- სათანადო მოთხოვნის წარდგენიდან 4 კვირის ვადაში (ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს საბიუჯეტო ოფისისა და ფინანსური გათვლების მომთხოვნის შეთანხმების საფუძველზე) კანონპროექტის შემუშავების პროცესში **შესაბამისი ფინანსური გათვლებით უზრუნველყოს** საქართველოს პარლამენტის წევრები, საპარლამენტო ფრაქციები და პარლამენტის კომიტეტები;
- მოამზადოს კვლევები ცალკეული კანონპროექტებით გათვალისწინებული საკითხების ფინანსური და ეკონომიკური გავლენის შესახებ, აგრეთვე საკანონმდებლო პროცესის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

შესაბამისად,

საბიუჯეტო ოფისი **ერთის მხრივ** ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივების <u>ფინანსური გათვლების ე.წ. ხარისხის კონტროლს</u>, ხოლო **მეორეს მხრივ** უშუალოდაც არის ჩართული <u>ფინანსური გათვლების მომზადების</u> პროცესში.

ფინანსური გათვლების ე.წ. <u>ხარისხის კონტროლთან</u> დაკავშირებით:

განმარტებითი ბარათების ფინანსური დასაბუთების შემოწმების ე.წ. ხარისხის კონტროლის მიდგომის დანერგვის მიზნით, პარლამენტის **საბიუჯეტო ოფისმა შეიმუშავა:**

- საბიუჯეტო ოფისის მიერ კანონპროექტის განმარტებითი ბარათის ფინანსური გავლენის შეფასების შემოწმების მეთოდოლოგიური მითითებები;
- საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიქტებისათვის კანონპროექტის განმარტებითი ბარათის ფინანსური გავლენის შეფასების მომზადების სახელმძღვანელო პრინციპებისა და მეთოდოლოგიური მითითებების დოკუმენტი.

საბიუჯეტო ოფისი, როგორც ე.წ. ხარისხის შემმოწმებელი, მოხსენიებულია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი "მმართველობა განვითარებისათვის" ფარგლებში მომზადებულ დოკუმენტში "RECOMMENDATIONS ON RIA NATIONAL FRAMEWORK OF GEORGIA" რომლის თანახმადაც:

- საბიუჯეტო ოფისმა შეიძლება განახორციელოს და უზრუნველყოს საკანონმდებლო ინიციატივებზე თანდართული როგორც განმარტებითი ბარათების, ასევე თანდართული RIA-ს დოკუმენტების ხარისხის შემოწმება.

რეგულირების გავლენის შეფასებაში მნიშვნელოვანია საჯარო ფინანსებზე გავლენის შეფასება, რაც ერთგვარად სწორედ განმარტებითი ბარათის ფინანსური დასაბუთების ინფორმაციას წარმოადგენს.

ფინანსური გათვლების <u>მომზადებასთან</u> დაკავშირებით:

არსებული პრაქტიკის მიხედვით, საბიუჯეტო ოფისი ჩართულია, როგორც განმარტებითი ბარათების ფინანსური გავლენის მომზადების, ასევე ყველა იმ RIA-ს დოკუმენტის მომზადების სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც უშუალოდ პარლამენტის თანამშრომლების მიერ მზადდება საერთაშორისო დახმარებით.

კერძოდ, საბიუჯეტო ოფისის ჩართულობით მომზადდა:

- "საქართველოს ნარკოპოლიტიკის რეფორმის რეგულირების გავლენის შეფასება" საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით.
- "სოციალური ჭრის რეფორმის რეგულირების გავლენის შეფასება" საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით.

- "სავალდებულო იმუნიზაციის შესახებ რეფორმის რეგულირების გავლენის შეფასება" საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) და მმართველობა განვითარებისთვის (G4G), EU პროექტის "საკანონმდებლო ზემოქმედების შეფასება, კანონშემოქმედებითი პროცესი და წარმომადგენლობითი უნარების გაძლიერება" მხარდაჭერით.
- "ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით.

საბიუჯეტო ოფისის მიერ:

- მომზადდა ორი სახელმძღვანელო დოკუმენტი RIA-ს შესახებ: რეგულირების გავლენის შეფასება ნაწილი 1: არსი და საერთაშორისო გამოცდილება და რეგულირების გავლენის შეფასება ნაწილი 2: ტექნიკური სახელმძღვანელო;
- მომზადდა თემატური პუბლიკაცია: ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი (CBA) განსხვავება ფინანსურ და ეკონომიკურ ანალიზს შორის;
- მომზადდა პუბლიკაცია "საკანონმდებლო ორგანოს როლი რეგულირების გავლენის შეფასების პროცესში:საქართველო და საერთაშორისო გამოცდილება".
- პარლამენტის თანამშრომელთათვის ჩატარდა ტრენინგი როგორც "საკანონმდებლო ინიციატივის ფინანსური გავლენის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპების", ასევე "რეგულირების გავლენის შეფასების" თემატიკაზე.

სამომავლო ხედვა და გეგმები:

დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით:

- საბიუჯეტო ოფისის ინსტიტუციური და ექსპერტული გაძლიერება, როგორც ხარისხის მაკონტროლებლის, ასევე რაოდენობრივი ანალიზის მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით;
- მეთოდოლოგიური მიდგომის შემუშავება, თუ როგორ უნდა განხორციელდეს რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტის ე.წ. ხარისხის კონტროლი, განსაკუთრებით კი საჯარო ფინანსებზე გავლენის, ასევე რაოდენობრივი ანალიზის მიმართულებით, ვინაიდან რეალურად შემდეგ სწორედ ეს ინფორმაცია აისახება განმარტებითი ბარათის ფინანსურ დასაბუთებაში;
- ტრენინგების ციკლი რაოდენობრივი ანალიზის მეთოდების გამოყენებაში;
- ტრენინგ მოდულის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით რაოდენობრივი ანალიზის მეთოდის შესახებ ონლაინ სასწავლო კურსის მომზადება;
- რაოდენობრივი ანალიზის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო დოკუმენტის მომადება შესაბამისი შაბლონებით.



დამოუკიდებელი ანალიზი სახელმწიფო ფინანსების მდგრადობისთვის

გმადლობთ ყურადღებისთვის!

pbo@parliament.ge



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

RIA-ს რეფორმის პროგრესის მიმოხილვა



06-Mar-23

I ეტაპი-RIA-ს მხარდამჭერი პლატფორმა (RIA Support Platform)

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა


- RIA-ს განმახორციელებელი სამთავრობო დაწესებულება წერილობით მიმართავს საპარლამენტო მდივანს
- სამთავრობო დაწესებულება RIA-ს ყველა ეტაპს განახორციელებს დამოუკიდებლად, საქართველოს მთავრობის N35 დადგენილების შესაბამისად და RIA-ს პლატფორმის ექსპერტს მიმართავს, თუ ერთი, ან რამდენიმე ეტაპის განხორციელების პროცესში წარმოეშვება დახმარების საჭიროება.

RIA მხარდამჭერი პლატფორმა
- მთავრობის საპარლამენტო
მდივნის აპარატი
(მასპინძელი ორგანიზაცია)

RIA–ს განმახორციელებელი სამთავრობო დაწესებულებები 3 დამოუკიდებელი RIA-ს ექსპერტი

- ექსპერტი აფასებს დახმარებისსაჭიროების მოცულობას
- ადგენს განსახორციელებელი RIA-ს ანგარიშის სახეს (სტანდარტული, სიღრმისეული)
- განსაზღვრავს დახმარების ერთ, ან რამდენიმე ფორმას, კერმოდ:
 - კონსულტაციები
 - RIA-ს განხორციელების ზედამხედველობა
 - შესაბამისი სწავლება (ტრენინგი)
 - ექსპერტიზა

II ეტაპი - RIA-ს ხარისხის შემოწმების პლატფორმა (RIA Peer Review Platform)



RIA-ს ინსტიტუციონალიზაცია – მოსალოდნელი შედეგები

RIA–ს ინსტრუმენტის ეფექტურად გამოყენება და ხარისხის უზრუნველყოფა უკეთესი პოლიტიკის და გადაწყვეტილებების შესამუშავებლად.



მოსალოდენელი შედეგები:

- გააძლიერდეს მთავრობის შესაძლებლობები და მოახდეს RIA-ს პრაქტიკის პოპულარიზაცია :
 - RIA–ს განხორციელების ცოდნისა და უნარ-ჩვევების სახელმწიფო უწყებებში დაგროვება
 - RIA-ს პრაქტიკოსების ჯგუფის ფორმირება
 - RIA-ს ხარისხის თანმიმდევრული გაუმჯობესება
 - RIA-ს არეალის გაფართოება და გავრცელების ხელშეწყობა

მადლობა ყურადღებისთვის!





მაია გუნცამე

მრჩეველი რეგულირების გავლენის შეფასების და მონიტორინგის საკითხებში

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

Email: mguntsadze@egp.ge









USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა





შენი გზამკვლევი რეფორმებში

შენიშვნა: ამ პრეზენტაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით, გაწეული დახმარების შედეგად. პრეზენტაციაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.



რეგულირების ზეგავლენის შეფასების ხარისხის უზრუნველყოფა საქართველოში:

ექსპერტთა სერტიფიცირება

მარიამ წულუკიძე

1.03.2023





რა არის არსებული სტრუქტურის ძირითადი შეზღუდვები?



- სისტემური გრმელვადიანი მიდგომის ნაკლებობა შესაძლებლობების ამაღლებასთან დაკავშირებით
- არასაკმარისი აქცენტი RIA-სთვის ძირითადი უნარების ჩამოყალიბებაზე
 (RIA-სთვის საჭირო უნარების ფართო და ვიწრო განმარტება).
- მკაფიოდ განსაზღვრული ხარისხისა და შინაარსის სტანდარტების არარსებობა ტრენინგებისა და სხვა პროგრამებისთვის RIA-ში შესაძლებლობების განვითარებისთვის.
- მონიტორინგისა და აღსრულების მექანიზმების ნაკლებობა.





რა არის არსებული სტრუქტურის მირითადი რისკები?



- "RIA-ს ექსპერტების" არაერთგვაროვანი და არასრული მომზადება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება RIA ანალიტიკოსის მიერ მოთხოვნილი უნარებისა და ცოდნის განვითარებას.
- ქვეყანაში RIA დარგში **კვალიფიციური ექსპერტების რაოდენობის** არასაკმარისი ზრდა და მათი იდენტიფიცირებისა და დაქირავების უფრო მეტი სირთულე.
- ამან შეიძლება **შეაფერხოს RIA-ს ეფექტური ინსტიტუციონალიზაცია**, ქვეყნის RIA ჩარჩოს დაახლოება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან და გამოიწვიოს დაბალი ხარისხის RIA-ების, განსაკუთრებით სიღრმისეულის, და პოლიტიკის შემუშავება.





რა მიზნებია ახალი სტრუქტურისთვის?



ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა გრმელვადიან პერსპექტივაში მდგრადი სისტემის შექმნა:

- RIA-ს სპეციალისტებისთვის მინიმალური კვალიფიკაციის სტანდარტების განსაზღვრისა და დანერგვისთვის
- RIA-ს კვალიფიციური ექსპერტების რაოდენობის გაზრდისთვის მოსალოდნელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
- RIA-ს ექსპერტების (ამჟამინდელი და მომავალი) უნარების უწყვეტი ამაღლებისა და განვითარების უზრუნველყოფისთვის.





წინსვლის შესაძლო გზა: სერტიფიცირება



- ამ გამოწვევის გადასაჭრელად შესამლო ნაზიჯი არის სათანადო სერტიფიცირეზისა და შესაძლეზლობეზის განვითარეზის სისტემის უზრუნველყოფა, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ:
 - <u>დაადასტუროს RIA-ს ექსპერტების კვალიფიკაცია </u>ან/და
 - <u>უზრუნველყოს</u>, რომ RIA პროცესში ჩართული ინსტიტუტები და პირები ფლობდნენ თავიანთი როლის შესაბამის <u>უნარებისა და ცოდნის მინიმალურ კომპლექტს</u>.
- ეს შეიძლება წარმოადგენდეს RIA-ს ხარისხის კონტროლის ინსტიტუციონალიზაციის იდეალურ შემავსებელს.





რომელი სერტიფიცირების სისტემა?



სამი ყველაზე ეფექტიანი ალტერნატივაა:

- ფორმალური პროცესი, რომელიც ეფუმნება (ამჟამად არარსებულ) ეროვნულ კანონმდებლობას (სერთიფიკაციის სქემა უნდა იყოს აკრედიტებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (EQE) ან საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის (GAC) მიერ).
- პარტნიორობა საქართველოს მთავრობასა და შერჩეულ სპეციალიზებულ ინსტიტუტ(ებ)ს შორის.
- არაფორმალური აღიარება დაინტერესებული მხარეების დონეზე, სერტიფიკატის გამცემი დაწესებულების რეპუტაციისა და სასწავლო კურსების შინაარსის საფუმველზე.





პარტნიორობა საქართველოს მთავრობასა და შერჩეულ სპეციალიზებულ ინსტიტუტს შორის (1)



მთავარი მახასიათებლები:

- პარტნიორობა საქართველოს მთავრობასა და ერთ ან მეტ აღიარებულ დაწესებულებას შორის, რომლებსაც აქვთ აკადემიური წარმატების, მაღალი ხარისხის რეგულირების ზეგავლენის შეფასების კომპლექსური ანგარიშების შემუშავებისა და რეგულირების ზეგავლენის შეფასების შეფასების სასწავლო პროგრამების ჩატარების გამოცდილება, ცოდნა და კარგი რეპუტაცია.
- რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტობისა და ტრენერობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების სასურველი დონის განსაზღვრა, იდეალურ შემთხვევაში
 კი ყველა დაკავშირებული დაწესებულებისთვის სტანდარტიზებული გამოცდებისა და სერტიფიცირების პროცედურების შემოღება. ასევე, უნარების ამაღლებისა და განვითარების ინიციატივების განხორციელება





პარტნიორობა საქართველოს მთავრობასა და შერჩეულ სპეციალიზებულ ინსტიტუტს შორის (2)



უპირატესობები:

- სერტიფიცირებული ექსპერტებისა და ტრენერების კვალიფიკაციაში განსხვავებების შემცირება.

ნაკლოვანებები:

• მოითხოვს პროცესში მთავრობის ჩართვას და მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის ერთობლივი ინსტიტუციური მექანიზმის შემოღებას (სერტიფიცირების განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის), რამაც შესაძლოა მცირედი ზეგავლენა იქონიოს მომსახურების მიწოდების ხარჯებზე და გარკვეულწილად შეუზღუდოს ავტონომია ცალკეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას.





არაფორმალური აღიარება (1)



მთავარი მახასიათებლები:

- სერტიფიცირების ორგანოების დამოუკიდებელი შესაძლებლობები:
 - შეამოწმონ და ობიექტურად შეაფასონ საჭირო ცოდნისა და უნარების დონე
 - ჩაატარონ სასწავლო კურსები ყველა ძირითად საგანში (მათ შორის კვალიფიკაციის ამაღლებისა და განვითარების)
 - მოიპოვონ კარგი რეპუტაცია ამ სფეროში





არაფორმალური აღიარება (2)



უპირატესობები:

- ნაკლებად ბიუროკრატიული და ნაკლებად ხარჯიანი ალტერნატივა
- განსახორციელებლად ყველაზე მარტივი ალტერნატივა

ნაკლოვანებები:

- მოითხოვს მეტ დროს გაურკვევლობის აღმოსაფხვრელად და ტრენინგისა და სერტიფიცირების ინსტიტუტების ხარისხისა და საერთო სტანდარტების დაწესების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.
- მანამდე კი იარსებებს არაერთგვაროვანი და ფრაგმენტული სასწავლო სისტემის არსებობის რისკი.





უფრო გრძელვადიანი სტრუქტურა



- ყველა ეს სერტიფიცირების სისტემა შეიძლება ჩანაცვლდეს ახალი სისტემით როდესაც ბაზარზე იქნებიან საკმარისი რაოდენობის სერტიფიცირებული RIA ექსპერტები და ტრენერები შექმნიან პროფესიულ ასოციაციას, რომელიც იქნება მთავარი პასუხისმგებელი ორგანო სერტიფიცირების პროცესზე, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებები შეინარჩუნებენ საგანმანათლებლო ფუნქციას და ითანამშრომლებენ ასოციაციასთან კვალიფიკაციის ამაღლებისა და განვითარების მიზნით.
- სასწავლო/სასერტიფიკატო პროგრამა უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომ მაქსიმალურად შეესაბამებოდეს ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იქნებოდა სერტიფიცირებისადმი მოდულარული მიდგომის შემუშავება, სერტიფიცირების სხვადასხვა საფეხურით, რომლებიც დაკავშირებული იქნებოდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტების და ტრენერების მიერ შესასრულებელ ფუნქციებთან.





დასკვნები (1)



- RIA-ს წარმატებული ინსტიტუციონალიზაცია განსაკუთრებულად არის დამოკიდებული საჯარო მოხელეებსა და ფართო საზოგადოებაში მაღალი ხარისხის RIA-ების ჩატარების შესამლებლობების გაფართოების უნარზე.
- ამჟამინდელი სტრუქტურა ფრაგმენტულია და არ არის შექმნილი იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს მდგრადი გზით საჭირო მირითადი და სპეციფიკური უნარების შექმნას და გავრცელებას მაღალი ხარისხის RIA-ების ჩასატარებლად.
- არსებული სტრუქტურის ცვლილება RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის მხარდასაჭერად მიზნად ისახავს:
 - მინიმალური პროფესიული სტანდარტების განსაზღვრასა და დანერგვას
 - გაიზარდოს RIA-ს კვალიფიციური ექსპერტების რაოდენობა არსებული საჭიროებების შესაბამისად
 - RIA ექსპერტების (ამჟამინდელი და მომავალი) უნარების უწყვეტი ამაღლებისა და განვითარების უზრუნველყოფა.





დასკვნები (2)



- RIA-ს ექსპერტებისთვის სერტიფიცირების მექანიზმის დანერგვა შესაძლო გზაა. არსებობს ამ მიმართულებით გადასვლის ორ შესაძლებლობა:
 - პარტნიორობა საქართველოს მთავრობასა და შერჩეულ ინსტიტუტებს შორის
 - არაფორმალური სერტიფიცირება
- ორივე შემთხვევაში, სერტიფიცირების სისტემა შეიძლება საკუთარ თავზე აიღოს RIA ექსპერტთა მომავალმა პროფესიულმა ასოციაციამ.
- RIA-ს ექსპერტების სერტიფიცირება იქნება საფუძველი ასეთი ექსპერტების დაქირავებისა და დაწინაურებისთვის და იდეალური დამატება იქნება RIA-ს ხარისხის კონტროლის ინსტიტუციონალიზაციისთვის.







გმადლობთ





USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა





USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა





შენი გზამკვლევი რეფორმებში